



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 52



2013 წლის 22 მარტი
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #238 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #238 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია;
- მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;
- სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები **118105** ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	101664
22	საქონელი და მომსახურება	16441
	სულ	118105

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები.
- დამთვალეირებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება.
- მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.